პროექტი "პოლიტიკური პარტია"

პროექტის მიზანი

- რეგიონში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთების წევრებისთვის არჩევნებთან დაკავშირებული პროცედურების მიმართ ცოდნის ზრდა და ამომრჩევლებთან მუშაობისათვის საჭირო უნარ-ჩვევების დახვეწა.

პროექტში ჩართული იყო 6 პოლიტიკური პარტია:

- ეროვნული ფორუმი;
- თავისუფალი საქართველო;
- მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო"
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;
- ლეიბორისტული პარტია;
- რესპუბლიკული პარტია.

პროექტის ფარგლებში 30 ადამიანი გადამზადდა.
მათგან 24 მონაწილე წარმოადგენდა 6 პოლიტიკურ პარტიის ახალგაზრდულ ფრთებს, ხოლო 6 შერჩეული იყო გასაუბრების გზით.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

- I ბანაკი (8-11 აგვისტო, ქობულეთი)
  - 4 დღის განმავლობაში მონაწილეებს შეხვდა 4 ექსპერტი: ნოდარ ჯიქია, ზეინაბ ხაჩიძე, მათე გაბიცინაშვილი და გიორგი ბერია. ექსპერტები მონაწილეებთან საუბრობდნენ შემდეგ თემებზე , "საპარლამენტო არჩევნები", "პოლიტიკური პარტიების მუშაობა მედიასთან, ელექტორატთან და პოლიტიკურ პარტიებთან", პოლიტიკური პარტიების ისტორია", "პოლიტიკური იდეოლოგია და დემოკრატია". ასევე მონაწილეებს შეხვდა მშვიდობის კორპუსის მოხალისე ჯილ სიმპსონი, რომელმაც ისაუბრა აშშ პოლიტიკური პარტიების განვითარების ისტორიასა და საარჩევნო პროცედურების შესახებ. გარდა აღნიშნული თემებისა მონაწილეებს დღის მანძილზე უტარდებოდათ სავარჯიშოები და ვორქშოპები თემებზე - გუნდურობა, ლიდერობა, კომუნიკაცია, ღირებულებები. ბანაკში 30 მონაწილე გადანაწილდა 3 გუნდში, პირობითად სამ სიმულაციურ პოლიტიკურ პარტიაში.

- II ბანაკი (11-14 დეკემბერი, ბაკურიანი)
  - ბანაკის მიზანი იყო პროექტის მონაწილეებს გაიხსენებინათ გასული ფაზები, მოეხდინათ გადაფასება და შეეფასებინათ განვლილი ქმედებები. პროექტში განვლილი პერიოდის შეფასებას საპროექტო გუნდთან ერთად ატარებდნენ მოწვეული ტრენერი დავით კიკუტაძე და პროექტის ფასილიტატორი ნუგზარ კოხრეიძე. ბანაკის განმავლობაში პროექტის მონაწილეებმა ნახეს ყველა ის ვიდეო და ტექსტუალური მასალა, რაც აგვისტოს თვიდან მოყოლებული იყო გაკეთებული და დაწერილი. ასევე, ბანაკში პროექტის ფასილილატორი ინდივიდუალურად შეხვდა პროექტში ჩართულ პოლიტიკური პარტიების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებს და ასევე მათ ვინც არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ წარმოადგენდა. შეხვედრების მიზანი იყო სამომავლო სამოქმედო გეგმების ფორმირება, ასევე თუ რას გეგმავდნენ პროექტის დასრულების შემდეგ თითოეული მონაწილე საკუთარ პარტიაში.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

- პარტიის ფორმირება;
  - პარტიის სახელწოდების, ლოგოს, იდეოლოგიის, წესდების, პლათფორმისა და საარჩევნო პროგრამის შედგენა
- პარტიის ყრილობა;

  - **<u>საქართველოს ლიბერალური პარტია :</u>**
  - სლოგანი – "ჩვენ ერთად შევძლებთ";
  - იდეოლოგია - ლიბერალიზმი;
  - პარტიის ფერი: ყვითელი და მწვანე.

  - **<u>სოციალ-დემოკრატიული პარტია:</u>**
  - სლოგანი – "ეროვნული იდეოლოგია, დემოკრატიული საქართველო";
  - იდეოლოგია - სოციალ-დემოკრატია;
  - ფერი - იასამნისფერი, წითელი და თეთრი.

  - **<u>"ახალი თაობა":</u>**
  - სლოგანი – "ხალხის ჩართულობა სახელმწიფოს მართვაში";
  - იდეოლოგია – ლიბერალიზმი;
  - ფერი: მწვანე.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

- შეხვედრა ექსპერტებთან;
  - ნინო თვალთვაძე; ავთანდილ ოსეფაიშვილი; ივანე კაპანაძე; ნატო ქათამაძე; მაკა ცერცვაძე; ნოდარ ჯიქია.

- შეხვედრა ქუთაისის მოსახლეობასთან;
  - ვაკისუბნის მუნიციპალიტეტი; სულხან-საბას ქუჩა; ავტოქარხნის საარჩევნო ოლქი; ქალაქ მუზეუმის მუნიციპალიტეტი; სტეკლოტარის მუნიციპალიტეტი; ზასტავა; საფიჩხიის მუნიციპალიტეტი; საღორიის მუნიციპალიტეტი; მუხნარის მოსახლეობა; გორა; 200-ზე მეტ ადამიანი დაესწრო შეხვედრებს.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

- ტელე - დებატი;
- ტელე–დებატის მიზანი იყო სიმულაციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს დაეხვეწათ კამერასთან მუშაობის უნარ–ჩვევა, მედიასთან ურთიერთობის უნარი გაეზარდათ და კონკურენტ პარტიებთან თანამშრომლობა ესწავლათ.

- სიმულაციური ცესკოს ფორმირება;
- ცესკოს თავმჯდომარე იყო ნოდარ ჯიქია (საქართველოს ახალგარდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ოფისის პროგრამების დირექტორი). კომისიის წევრებმა კენჭისყრის შედეგად აირჩიეს თავმჯდომარის მოადგილე - მირანდა ბარბაქაძე, პროექტის მონაწილე, კომისიის მდივანი, პრეს სპიკერი, იურიდიული სამსახურის უფროსი, ლოჯისტიკისა და ტექნიკური სამსახურის უფროსები. კომისია შედგებოდა 13 წევრისაგან. 6 წევრი წარმოდგენილი იყო ორგანიზაციის ბაზიდან, ხოლო 6 წევრი დაკომპლექტდა პროექტის მონაწილეებისგან.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

- წინასაარჩევნო პერიოდი;
  - სიების მობილიზება; არჩევნებზე მომსვლელთა წინასწარი სიების შედგენა;
  - „ახალმა თაობამ" სიმულაციურ ცესკოს მიაწოდა 452 ამომრჩევლის მონაცემები (პირადი ნომერი, მისამართი, ტელეფონი და გვარ/სახელი). სოციალ–დემოკრატიულმა პარტიამ ცესკოს მიაწოდა 343 ამომრჩევლის მონაცემი. ხოლო საქართველოს ლიბერალურმა პარტიამ ცესკოს 642 ამომრჩევლის მონაცემები გადასცა. ჯამში 1437 ამომრჩევლის მონაცემმა მოიყარა თავი ცესკოს ბაზაში.

- დამკვირვებლების გადამზადება;
  - სიმულაციურმა ცესკომ გააკეთა დამკვირვებლებისა და კომისიის წევრების მობილიზება. თითო უბანზე იყო 6 დამკვირვებელი და 13 კომისიის წევრი. ჯამში 18 დამკვირვებელი და 39 კომისიის წევრი. თითო სიმულაციური პარტიიდან 2 წარმომადგენელი იყო ცესკოში. ჯამში 63 ადამიანის გადამზადება მოხდა თუ როგორ ფუნქციონირებს ცესკო, როგორ უნდა იმუშაოს დამკვირვებელმა და კომისიის წევრებმა არჩევნების დღეს და ზოგადად როგორ იმართება არჩევნები.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

- **<u>15 ნოემბერი - სიმულაციური არჩევნების დღე;</u>**

<u>საარჩევნო უბნები გახსნილი იყო 3 უბანში</u>

- #1 საარჩევნო უბანი იყო – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მთავარი კორპუსი;
- #2 საარჩევნო უბანი იყო – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგრარული ფაკულტეტი;
- #3 საარჩევნო უბანი – სოციალური მომსახურების სააგენტოს შენობა (სობესი).

- არჩევნებში მონაწილეობა მიიღო წინასწარ რეგისტრირებული 1437 ამომრჩევლიდან 433 ამომრჩეველმა. აქედან „სოციალ–დემოკრატიულ პარტიას" უშუალოდ არჩევნებზე მობილიზება გაუკეტთა 90 ამომრჩეველს და შესაბამისად 90 ხმა დააგროვა არჩევნებში. „ახალმა თაობამ" არჩევნების დღეს დააგროვა 99 ხმა, ხოლო „საქართველოს ლიბერალურმა პარტიამ" არჩევნებში მობილიზება გაუკეთა 244 ამომრჩეველს და შესაბამისად დააგროვა 244 ხმა.

- სიმულაციურმა ცესკომ 07:00 საათიდან 20:00 საათამდე 5–ჯერ გამოაცხადა bambuser_ის პირდაპირი ეთერის მეშვეობით ეგზიტპოლების შედეგები. გადასატანი ყუთით ისარგებლა მხოლოდ ერთმა საარჩევნო უბანმა.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები

- ინდივიდუალური გასაუბრებები;
  - **ინდივიდუალური გასაუბრებების მიზანი იყო** – პროექტის მონაწილეებს გაეაზრათ განვლილი პერიოდის განმავლობაში მომხდარი მოვლენები, ქმედებები და გააკეთებინათ შეფასებები.

- პროექტის დახურვა, შედეგების პრეზენტირება.
  - პროექტის მონაწილეებს გადაეცათ სერთიფიკატები. ხოლო გამარჯვებულ სიმულაციურ პოლიტიკურ პარტიის "საქართველოს ლიბერალური პარტია" წევრებს გადაეცათ პარლამენტის წევრის სიმულაციური მანდატები. პროექტის მონაწილეებს სამახსოვროდ ასევე დაურიგდათ პროექტის ბუკლეტები და 2016 წლის კალენდრები, რომელიც სპეციალურად მათთვის დაიბეჭდა. გამარჯვებულ გუნდს ასევე გადაეცათ პოლიტიკოსებისთვის სასარგებლო ლიტერატურა. პროექტი 15 დეკემბრის დღით დაიხურა. შეხვედრაზე მოწვეული იყო სამთავრობო, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ადგილობრივი მედია საშუალებები და პროექტში ჩართული პოლიტუიკური პარტიის წევრები და ლიდერები.

პროექტის ეფექტები (მიღწეული შედეგები)

- 6 პოლიტიკურ პარტიას ახალგაზრდულ ფრთაში ჰყავს გადამზადებული კადრები;
- 6 აპოლიტიკური სტატუსის მქონე მონაწილეებმა 4 სამომავლოდ დასახეს გეგმა აქტიურად ჩაერთონ პოლიტიკაში. აქედან 3 ქალი და 1 მამაკაცი;
- ქუთაისის 12 უბნის მოსახლეობამ გაიგო პროექტის შესახებ და აქედან 10 უბანი ჩართული იყო სიმულაციური თამაშის განხორციელებაში, იღებდნენ მონაწილეობას სიმულაციური პარტიების შეხვედრებში და ჩაერთვნენ სიმულაციურ არჩევნებში.
- 880 - ზე მეტმა მოსახლემ მიიღო მონაწილეობა სიმულაციური თამაშის განხორციელების პროცესში დაგეგმილ აქტივობებში – შეხვედრა მოსახლეობასთან და სიმულაციურ არჩევნებში.
- პროექტის ფარგლებში გადაღებული კადრები სოციალურ ქსელში იხილა 20 000-ზე მეტმა მოსარგებლემ.
- პროექტის შესახებ დასავლეთ საქართველოში არსებულმა და მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებმა და სამთავრობო სექტორმა პრეზენტაციის, მედია საშუალებებში სტუმრობის, ყრილობების ჩატარების, მოსახლეობასთან შეხვედრების, ტელე–დებატების მეშვეობით მიიღეს ინფორმაცია.
- მედიის (ტელე-რადიო, ბეჭდური) მეშვეობით 30 000 მეტმა მაყურებელმა, მკითხველმა და რადიო მსმენელმა შეიტყო პროექტის მიზნების და ამოცანების შესახებ, ასევე ადევნებდნენ თვალს მიმდინარე პროცედურებს.

პროექტით განსაზღრული მიზნების და ამოცანების შესრულების ანალიზი

- პროექტის მიზნიდან გამომდინარე პროექტის მონაწილეებმა მიიღეს ცოდნა საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით და ასევე ამომრჩევლებთან მუშაობის უნარ-ჩვევები გამოიმუშავეს;
- პროექტის განმავლოვლობაში ასევე აქტიურად იყვენე ჩართული არაპროექტის მიზნობრივი ჯგუფებიც, რომელთა მეშვეობით დაკომპლექტდა ცესკო (6 მონაწილე), 39 საუბნო კომისიის წევრი და 18 დამკვირვებლის სტატუსის მქონე ახალგაზრდა;
- პროექტის ფაზებიდან გამომდიანრე მონაწილეებმა შეისწავლეს პოლიტიკური იდეოლოგიის შესახებ საკითხები, პოლიტიკურ პარტიებში მუშაობის სპეციფიკა და პროცედურული დემოკრატიის ელემენტები. გამოიმუშავეს ელექტორატთან მუშაობის შესაბამისი უნარ-ჩვევები, განიხილეს და გაანალიზეს საარჩევნო პროცედურები და მასთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარ-ჩვევები;
- ჩამოყალიბდა 3 სიმულაციური პოლიტიკური პარტია;
- ჩატარდა 10 შეხვედრა ქუთაისის 10 უბანში, რომელსაც ჯამში დაესწრო მინიმუმ 200 ადამიანი;
- პროექტის ფარგლებში მონაწილეებს მიეცათ დამატებითი სახელმძღვანელოები, რომელიც დაეხმარა საარჩევნო პროცედურების, საერთაშორისო და ადგილობრივი წარმატებული ქეისების განხილვასა და ამ მხრივ ცოდნის გაღრმავებაში. აღნიშნული მასალები ეძლეოდათ ყოველი ფაზის ამოცანის აღწერისას და ინსტრუქციისას.

მედია საშუალებები და პოსტები

6 თვის განმავლობაში პროექტის ფარგლებში RICDOG-მა ითანამშრომლა 7 ადგილობრივ მედია საშუალებასთან:

- www.topnews.com.ge
- www.newpress.ge
- www.kutaisipost.ge
- ტელეკომპანია მეგაtv
- ტელეკომპანია „რიონი"
- რადიო "ძველი ქალაქი"
- www.tolerant.ge

პროექტის განმავლობაში მონაწილეები წერდნენ პოსტებს, რომელიც ორგანიზაციის Blog-ზე ქვეყნდებოდა. ჯამში დაიწერა 8 პოსტი. აღნიშნული პოსტები შეგიძლია იხილოთ შემდეგ მისამართზე:

- www.dialogueofgenerations.wordpress.com (კატეგორია "პოლიტიკური პარტია")

დამატებითი ინფორმაცია

- პროექტის შედეგად 2 პირი გახდა წარმოდგენილ პოლიტიკურ პარტიაში ახალგაზრდული ფრთის ლიდერი;
- წარმოდგენილ პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ფრთიდან 1 გადაყვანილ იქნა პარტიის ადგილობრივი პოლიტ საბჭოს წევრად;
- წარმოადგენილი პოლიტიკური პარტიის ახალგაზრდული ფრთის თავმჯდომარემ მიღებული ცოდნის შედეგად დააკომპლექტა ახალგაზრდული ორგანიზაცია;
- 6 აპოლიტიკური სტატუსის მქონე მონაწილეებიდან ოთხმა სამომავლოდ დასახა გეგმა, აქტიურად ჩაერთონ პოლიტიკაში, აქედან 3 ქალი და 1 მამაკაცი.

მადლობა ყურადღებისთვის

ავტ: გვანცა თოთაძე
პროექტის "პოლიტიკური პარტია" კოორდინატორი
RICDOG გენერალური მდივანი

15.01.2016წ